

## ხელედულას ჰიდროელექტროსადგური

ქვეყანა:	საქართველო
პროექტის ნომერი:	49642
ბიზნეს სექტორი:	ენერგეტიკა
შეტყობინების ტიპი:	კერძო
გარემოსდაცვითი კატეგორია:	A
საბჭოზე გატანის თარიღი:	28 ნოემბერი 2018
სტატუსი:	კონცეფციის განხილვა დასრულებულია

პროექტის აღწერის ინგლისურ ენაზე 25 სექტემბერი 2018  
გამოქვეყნების თარიღი:

### *პროექტის აღწერა*

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (ევრობანკი) განიხილავს შპს „ხელედულა ენერჯის“ (შემდეგში „მსესხებელი“) დაფინანსების საკითხს ხელედულას ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და განვითარების მიზნით; 51 მეგავატი დადგმული სიმძლავრის მქონე ხელედულას ჰიდროელექტროსადგური განთავსდება მდინარე ხელედულაზე, საქართველოს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში (შემდეგში „პროექტი“).

### *პროექტის მიზნები*

ევრობანკის დაფინანსება ხელს შეუწყობს პროექტის განვითარებასა და მშენებლობას, რაც, შედეგად, შეამცირებს სასათბურე გაზების ემისიასა და ნახშირბადის გამოყოფის ინტენსიურობას საქართველოში.

### *ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი*

პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოში ნახშირბადის გამოყოფის ინტენსიურობის შემცირებას და ენერგეტიკის სფეროში არსებული მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებას ისევე როგორც საქართველო-თურქეთს შორის ენერგეტიკული სასაზღვრე ვაჭრობის შემდგომ განვითარებას. პროექტის განხორციელების შედეგად, სასათბურე გაზების ემისიების შემცირებაა მოსალოდნელი, ყოველწლიურად 63,000 ტონა ნახშირორჟანგით. ხელედულა ჰესის მშენებლობა სრულად შეესაბამება ევრობანკის მწვანე ეკონომიკური გარდაქმნის (GET) სახელმძღვანელოს.

### *კლიენტები*

მსესხებელი საქართველოში დარეგისტრირებული სპეციალური დანიშნულების საწარმოა, რომელიც მიზნად ისახავს ხელედულას ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასა და მართვას. შპს „ხელედულა ენერჯი“-ს აქციების უმეტეს ნაწილს „აგ ანადოლუ გრუბუ ჰოლდინგი“ („ანადოლუ ჯგუფი“) ფლობს და აკონტროლებს. ანადოლუ ჯგუფი მსხვილი თურქული კონგლომერატია, რომლის აქციების ნაწილი სტამბოლის საფონდო ბირჟაზეა განთავსებული.

### ***ევრობანკის დაფინანსება***

პროექტისთვის გათვალისწინებულია პირველი რიგის A/B კრედიტი 60 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, საიდანაც ევრობანკი აფინანსებს 30 მილიონ აშშ დოლარს, თანხის დანაჩენი ნაწილი კი მობილიზდება მესამე მხარეთა ჩართულობით.

### ***პროექტის ჯამური ღირებულება:***

89 მილიონი აშშ დოლარი

### ***გარემოსდაცვითი ეფექტი***

ევრობანკის 2014 წლის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის მიხედვით პროექტს მინიჭებული აქვს A კატეგორია.

შესაბამისად, ქვემო სვანეთის რეგიონში, მდინარე ხელედულაზე მდებარე 51 მეგავატი სიმძლავრის ხელედულას ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობა პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადებას ითვალისწინებს. პროექტი მოიცავს ორი დამბის მშენებლობას, რომელთაგანაც ერთ-ერთი აღემატება დიდი კაშხლების საერთაშორისო კომისიის მიერ დიდი კაშხლისთვის განსაზღვრულ 15 მეტრის სიმაღლეს და, თავის მხრივ, მოხსენიებულია ევრობანკის გარემოსდაცვით და სოციალური პოლიტიკის დანართ 1-ში, როგორც A კატეგორიის პროექტების ზღვარი.

პროექტი წარმოადგენს ხელედულას და დევაშის მდინარეების ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურის სქემას. პირველი დამბა მდინარე ხელედულაზე აშენდება, საიდანაც მდინარის ჩამონადენი, წყალსატარი გვირაბის მეშვეობით, მეზობელ მდინარე დევაშში იქნება მიმართული. სწორედ ამ ადგილას აშენდება მეორე დამბა, მდინარე დევაშის წყალი ასევე შეგროვდება. წყალსატარი გვირაბის და სადაწნეო შახტის მეშვეობით წყალი მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, ელექტროსადგურის შენობაში მოხვდება. დამატებითი დეტალები პროექტის შესახებ ამ ბმულზეა განთავსებული.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება საქართველოს გარემოსდაცვითი ნებართვების გამცემი

ორგანოს მიერ 2017 წელს დამტკიცდა. ანგარიშის მომზადების შემდგომ, სპონსორმა გააგრძელა თანამშრომლობა გარემოს დაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების საერთაშორისო კონსულტანტთან, რომელიც კარგად ერკვეოდა სექტორში და მთლიანად ქვეყანაში შესაბამისი მიმართულებით არსებულ ვითარებაში. კონსულტანტის მოვალეობაში დამატებითი კვლევების ჩატარება და დამხმარე გარემოსდაცვით და სოციალურ მოქმედებათა გეგმის ჩამოყალიბება შედის. დამატებითი კვლევები ტარდება იმისთვის, რომ დადასტურდეს პროექტის ყველა კომპონენტის არამხოლოდ საქართველოს კანონმდებლობასთან, არამედ ევრობანკის გარემოსდაცვით და სოციალურ მოთხოვნებთან და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის სახელმძღვანელოსთან შესაბამისობის დასადასტურებლად.

2018 წელს ჰიდროელექტროსადგურის დეველოპერმა საპროექტო გეგმაში ცვლილება შეიტანა (გვირაბის შეცვლა მიწისქვეშა სადაწნეო შახტით დევაში ხეობაში) და, შესაბამისად, გარემოსდაცვითი ნებართვების გამცემი ორგანოს მოთხოვნით, ამ ცვლილებისთვის მომზადდა სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამატებითი ანგარიში.

პროცესის დასრულების შემდეგ, დამატებითი საპროექტო გეგმის ცვლილება ადგილობრივ გარემოზე ზემოქმედების გეგმაშიც იქნება ასახული და კომპანიის ვებ-გვერდზე განთავსდება. უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო გეგმის ცვლილება ასახული იყო ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების დამატებით ანგარიშში, პროექტის ევრობანკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურებისათვის. გარემოზე ზემოქმედების დამხმარე გეგმა და საბოლოო საპროექტო გეგმა ერთმანეთთან თანხვედრაშია. გარდა ამისა, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ტექნიკური კვლევის დროს დეტალურად იქნა შესწავლილი კომპანიისა და სპონსორის შესაძლებლობები დანერგონ პროექტი ევრობანკის მოთხოვნების შესაბამისად.

გარემოსდაცვითი და სოციალურ ზემოქმედების დამატებითი შეფასების სრული საჯარო პაკეტი, ევრობანკის საჯარო ინფორმაციის პოლიტიკის შესაბამისად, ევრობანკის დირექტორთა საბჭოს მიერ პროექტის დაფინანსების განხილვამდე მინიმუმ 60 დღით ადრე გამოქვეყნდება. პაკეტი შემდეგ დოკუმენტებს მოიცავს: გარემოზე ზემოქმედების ნებადართული შეფასება, გარემოზე ზემოქმედების ახლანდელი დამხმარე შეფასება, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა, არატექნიკური რეზიუმე და გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა.

გარემოზე ზემოქმედების კუთხით, გარემოზე ზემოქმედების ახლანდელ შეფასებაში შემდეგი საკითხებია განხილული: მთიან რეგიონში ადგილმდებარეობა, ციკაბო ფერდობები, სამშენებლო ტექნიკისა და საავტომობილო მოძრაობის მიერ მტვრის წარმოქმნა, ხმაური და ვიბრაცია, ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე, მდინარის ნაკადის თავისებურება და გარემოსდაცვითი მინიმალური ნაკადის გამოყენება, ნალექების ტრანსპორტირება და წყლის ხარისხის შეფასება. პროექტი საკმაო მანძილითაა დაშორებული

დაცული ტერიტორიებისგან და პოტენციურად ზურმუხტის ქსელში შემაჯავლი ადგილმდებარეობებისგან. კონსერვაციული ღირებულების მქონე ხმელეთისა და წყლის ჰაბიტატზე პროექტის ზემოქმედების დასადგენად ბიომრავალფეროვნების დამატებითი საბაზისო კვლევები და შეფასებები ჩატარდა. ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმა გარემოსდაცვით და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების დამხმარე ანგარიშის ნაწილია და ისეთ შემარბილებელ ღონისძიებებს შეიცავს, როგორებიცაა: სამშენებლო პროცესის შეჩერება ფრინველების ბუდობისა და ღამურების გამრავლების პერიოდში, წყლის კალაპოტის მართვა და თევზის შენარჩუნება, ქვეწარმავლების და ამფიბიების დაჭერა და რელოკაცია, დათვებისა და არჩვების ბრაკონიერობის საწინააღმდეგო ზომები და ცნობიერების ამაღლების კამპანიები და სხვა.

გარემოზე ზემოქმედების დამატებითი შეფასება ასევე დეტალურად აღწერს იმ მექანიზმს, რომლითაც მიწის ნაკვეთების დაუფლება სრულად შეესაბამებოდა არსებულ მოთხოვნებს, და ადასტურებს, რომ მიწის ყველა შესყიდვა თუ დროებით გამოყენება მოხდა და მომავალშიც მოხდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე და, შესაბამისად, შესრულების მეხუთე მოთხოვნას (PR5) საფრთხე არ ემუქრება.

გარდა ამისა, საბაზისო სოციალური კვლევები და კონსულტაციები ადასტურებს, რომ მიწის ნაკვეთების დაუფლების შედეგად, საარსებო მინიმუმის დაკარგვა არ დაფიქსირებულა. სხვა სოციალური ზემოქმედებები, როგორებიცაა სამუშაო პირობები, მუშა ხელისა და საზოგადოების უსაფრთხოება განხილულია გარემოზე ზემოქმედების დამატებით ანგარიშში და შესაბამის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმებში, რომლებიც შემუშავდა შესრულების შესაბამის მოთხოვნებთან შესაბამისობით.

კომპანია ამჟამად საზოგადოების მხარდაჭერის პროგრამის შემუშავების პროცესშია, რომელიც მომზადდება ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციის შემდგომ საჭიროებების მიხედვით.

გარდა ამისა, საპროექტო კომპანია მზად არის უზრუნველყოს დახმარება იმ ადგილობრივი მოსახლეობისთვის რომელიც პროექტის პირდაპირი გავლენის ქვეშ არ ექცევა, მაგრამ წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს ბუნებრივი საფრთხის თავიდან არიდების თვალსაზრისით (მაგ: ნარჩენების ნაკადის გაწმენდა მექანიკური საშუალებებით).

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობები - უკვე დასრულებული და დაგეგმილი - აღწერილია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმაში და მოიცავს ღია შეხვედრებს ისევე, როგორც დანიშნულ განხილვებს საპროექტო ადგილზე და თბილისში. გამჭვირვალობისა და კარგი მმართველობის პრინციპების წარმოსაჩენად პროექტის მოქმედების პერიოდში კომპანია აპირებს საჯაროდ გამოაქვეყნოს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მაგალითად, ინფორმაცია ეკოლოგიურ ნაკადზე.

ევრობანკის მიერ ჩატარდა გარემოსდაცვითი და სოციალური ტექნიკური კვლევა, რომელმაც დაადასტურა, რომ კლიენტს აქვს შესაძლებლობა დანერგოს ბანკის გარემოსდაცვითი შესრულების მოთხოვნები. სამშენებლო და საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები და ზემოქმედება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში იქნა შესწავლილი. პოტენციური რისკების თავიდან აცილების მიზნით ჩასატარებელი შემარბილებელი ღონისძიებები შეთანხმებულია კლიენტთან და გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის ნაწილს წარმოადგენს. აღნიშნული სამოქმედო გეგმა მოიცავს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის კონკრეტული გეგმების დანერგვისა და ეროვნულ გარემოსდაცვით ნებართვებთან შესაბამისობის ვალდებულებებს .

ამ პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება ხელმისაწვდომია; ევრობანკი პროექტის მონიტორინგს განახორციელებს როგორც საკონსულტაციო, ასევე - სამშენებლო და ოპერირების პერიოდებში.

### **ტექნიკური თანამშრომლობა**

არ არის

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

ონურ ტოსუნოღლუ  
[onur.tosunoglu@gue.ge](mailto:onur.tosunoglu@gue.ge)  
+995 322251183

ჭავჭავაძის გამზირი 37დ, 0162,  
თბილისი, საქართველო

ბიზნეს შესაძლებლობები :

ბიზნესის შესაძლებლობებსა ან  
შესყიდვების შესახებ ინფორმაციის  
მისაღებად დაუკავშირდით  
მსესხებელს

ზოგადი ინფორმაცია:

შესყიდვების საკითხების გარდა  
პროექტთან დაკავშირებული ყველა  
სხვა საკითხებზე ინფორმაციის  
მისაღებად დაგვიკავშირდით  
ევრობანკში: ტელ: +44 20 7338 7168;  
ფაქსი: +44 20 7338 7380

პოლიტიკა ინფორმაციის  
საჯაროობის შესახებ (PIP)

Email: [projectenquiries@ebrd.com](mailto:projectenquiries@ebrd.com)  
ინფორმაციის საჯაროობის შესახებ  
შემუშავებულ პოლიტიკაში  
ჩამოყალიბებულია ევრობანკის მიერ  
ინფორმაციის საჯაროობისა და  
აქციონერებთან კონსულტაციების  
მექანიზმები, რომლებიც  
გამოიყენება უკეთესი  
საზოგადოებრივი შემეცნებისა და

პროექტის გასაჩივრების მექანიზმი  
(PCM)

მისი სტრატეგიების, პოლიტიკისა  
და ფუნქციონირების შესახებ  
ინფორმაციის გაცნობისათვის.  
პოლიტიკის ინფორმაციის  
საჯაროობის პოლიტიკის შესახებ  
ინფორმაცია იხილეთ:  
<http://www.ebrd.com/about/policies/pi/p/index.htm>  
ცალკეული პირების ან ხალხთა  
ჯგუფის მიერ, ასევე  
ორგანიზაციების მიერ ევრობანკის  
დაფინანსებულ პროექტებთან  
დაკავშირებით წარმოდგენილი  
საჩივრების დამოუკიდებელი  
განხილვის შესაძლებლობის  
უზრუნველსაყოფად ევრობანკმა  
შეიმუშავა პროექტის გასაჩივრების  
მექანიზმი. ეს მექანიზმი მოქმედებს  
როდესაც დამდგარი ან შესაძლო  
ზიანის ვარაუდი არსებობს